თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 18

12 ოქტომბერი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 21 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ბესიკი ქოჩიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „თელავი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	**არჩილი თვალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „თელავი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიორგი ქიზიყელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ გრემელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, დავით ჯორჯაძე, გიგა ორკოდაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტ. გალახვარიძე**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>**მოისმინეს:**</u> 1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.15სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> **ტ. დარეჯანიშვილმა, ი. სულხანიშვილმა** დასვეს კითხვა ააიპ კულტურისა და დასვენების პარკ „ნადიკვარი“-ს დაფინანსების გაზრდის საჭიროებასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ საკუთარი შემოსავლებით უნდა უზრუნველყოს კომუნალური და სახელფასო თანხების მობილიზება.

ლ. კოჭლოშვილმა დასვა კითხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიების შესახებ.

საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 11 ოქტომბრის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან

გამოყოფილი თანხა მიემართა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

GEORGIA TELAVI MUNICIPALITY COUNCIL * 23129153 5 *